საქართველოს მთავრობის

დადგენილება №98

2026 წლის 6 მარტი

ქ. თბილისი

„საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ გაწეული მომსახურების საფასურის განაკვეთების, საფასურის გადახდევინების წესისა და მომსახურების ვადების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 29 დეკემბრის №509 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/12/2011, 040150000.10.003.016669) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებულ დანართს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-8 მუხლი:

„**მუხლი 8.** მეწარმე სუბიექტი უფლებამოსილია, „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებთან სარეგისტრაციო მონაცემების შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით, ისარგებლოს ამ დანართის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტისგან განსხვავებული სარეგისტრაციო მომსახურების საფასურით, თუ 2026 წლის 9 მარტიდან 2026 წლის 20 მარტის ჩათვლით წარადგენს სარეგისტრაციო განცხადებას და რეგისტრაციის მიზნებისთვის მოითხოვს საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანებით დამტკიცებული შესაბამისი სამეწარმეო საზოგადოების სტანდარტული წესდების გამოყენებას. ამ შემთხვევაში სააგენტო ამ დანართის მე-2 მუხლის „მ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ მომსახურებას გასწევს 4 სამუშაო დღის ვადაში, ხოლო მომსახურების საფასური შეადგენს 100 ლარს.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**